საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-58/ნ
2017 წლის 12 სექტემბერი

ქ. თბილისი

„სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 იანვარის №01-2/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 იანვარის №01-2/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 20/01/2016; 470230000.22.035.016371) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №7 დანართის (საქართველოში ინფექციურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის და კონტროლის სააღრიცხვო და შეტყობინების ფორმები, მათი წარმოების და ანალიზის წესი და წარდგენის ვადები) მე-9 მუხლით განსაზღვრულ №1 ცხრილს (შეტყობინების, ანგარიშგების და ეპიდკვლევის მოთხოვნები ნოზოლოგიების/მდგომარეობების მიხედვით) 59-ე გრაფის შემდეგ დაემატოს 59^1 გრაფა შემდეგი რედაქციით:

,,

59^1	სიფილისის შემთხვევა ორსულებში (შესაძლო/სავარაუდო/დადასტურებული)	–	1 შემთხვევა	1 შემთხვევა

.”.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ზაზა სოფრომაძე**